186
1929.6.II

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

34(05)
6-29

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 აპრილის 20 № 1 ნაწილი მეორე

186
1929 ნ.ნ.II

784

შინაარსი:

1. წესდება საქართველოს ს. ს. რ-ის საექსკურსიო-ტურისტულ სააქციონერო საზოგადოება „ტურისტი"-სა.

ვამტკიცებ.
ვაჭ. სახ. კომისარი სააკიანი.
27/III—29 წლ.

1. წესდება

საქართველოს ს. ს. რ-ის საექსკურსიო-ტურისტულ სააქციონერო საზოგადოება „ტურისტი"-სა.

I. საზოგადოების მიზანი და უფლება-მოვალეობანი.

1. საექსკურსიო ტურისტული სააქციონერო საზოგადოება „ტურისტი", არსდება ქ. ტფილისში და აქვს მიზნად შეიტანოს საქართველოს ს. ს. რ. ექსკურსიების, მოგზაურობათა და მეცნიერულ ექსპედიციათა მოწყობაში გეგმიანობა. საუკეთესო ხელსაყრელ და კულტურულ პირობების შესაქმნელ-ად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. რ. კ. ყველა რესპუბლიკებიდან და აგრეთვე უცხოეთიდან ჩამოსულ ექსკურსანტებისათვის და ტურისტებისათვის, ეს მუშაობა ცენტრალიზაცია ქმნილი იქნება.

შენიშვნა. საექციონერო საზოგადოების დამფუძნებელნი არიან: საქართველოს ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატი, საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, აფხაზეთის ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატი, აჭარისტანის ს. ს. ა. რ. განათლების სახალხო კომისარიატი, ქართველ მთიელთა კულტურული საზოგადოება.

2. აქციონერული საზოგადოება მოქმედობს საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე, შეკავშირებულია ს. ს. რ. მეცნიერულ და განმანათლებელ დაწესებულებებთან და აძლევს შესაძლებლობას იმათ ვინც მოისურვებს გამოიყენოს საზოგადოების სამსახური, იქონიონ:

ა) რაციონალური დასვენება მთიან ან ზღვის-პირის, ლამაზ ბუნებით დაჯილდოვებულ ადგილას:

ბ) მდიდარი მასალა ყველა საბუნებისმეტყველო-საისტორიო მეცნიერებათა დაკვირვებისათვის, გაეცნონ სიძველეთა ძეგლებს, ს. ს. ს. რ. ისტორიას და კულტურას:

გ) საჩვენებელ ექსკურსიათა საშუალებით გაეცნონ საქ. ს. ს. რ. თანამედროვე ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას.

3. აღნიშნულ მიზნების მისაღწევად საზოგადოებას აქვს უფლება:

ა) მოაწყოს ექსკურსიები, მოგზაურობანი და მეცნიერული ექსპედიციები ს. ს. რ. კ. მთელს ტერიტორიაზე და საზღვარ-გარედაც, პირველ რიგში კი ს. ს. ს. რ-ში;

ბ) მოაწყოს ექსკურსიები: საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული, წარმოებაში ისტორიულ-სოციალური, მეთოდიური და კვლევითი-ლაბორატორიული, ტურისტული მოგზაურობანი და ალპიური ასვლები;

გ) ექსკურსანტების, ტურისტების და ალპინისტების მისაღებად მოაწყოს ს. ს. ს. რ. სხვადასხვა კუთხეებში საექსკურსიო ბანაკები, ბაზები, ტურისტული სასტუმროები და იყოლიოს ადგილი რწმუნებულები. უფლება აქვს აგრეთვე იყოლიოს საზღვარ-გარეთ თავისი რწმუნებულნი ან კონტრ-აგენტები, იმ საზოგადოებათა სახით, რომელნიც აწარმოებენ ექსკურსიათა და მოგზაურობათა ორგანიზიციას;

დ) მოაწყოს სხვადასხვა ადგილას დაკვირვებანი. კოლექციათა და მასალათა დაგროვება;

ე) გამოიმუშაოს უფრო მეტად ეკონომიური და მიზანშეწონილი საექსკურსიო მარშრუტები, გეოგრაფიულ, წარმოებითი და ყოფა-ცხოვრების პირობებთან შეფარდებით:

ვ) მოაწყოს საცდელი სადგურები, დაკვირვებათა პუნქტები, მუზეუმები, ლაბორატორიუმები და სხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) იყოლიოს საექსკურსიო და ტურისტულ ხელმძღვანელთა კადრი, ჯგუფის ხელმძღვანელები, კონსულტანტები, გამყოლები და სხვა;

თ) შეჰქმნას ბიბლიოთეკები ტურისტულ, საექსკურსიო და მხარეთმცოდნეობითი შინაარსის;

ი) გაუწიოს შესაძლო დახმარება გლეხობას სოფლის გასაცნობად ს. ს. ს. რ. საერთო სამეურნეო და პოლიტიკურ ვითარებასთან, პოლიტიკურ მდგომარეობასთან და აღმშენებლობის მორიგ ამოცანებთან;

კ) გამოსცეს წიგნები, მხატვრული ბროშურები, საგიტაციო და ღია ბარათები, ალბომები და ლოზუნგები, ცნობები, მეგზურები, გამოფენათა თანამგზავრები და აგრეთვე დაბეჭდოს თავისი ნაშრომები. მიაკუთვნოს საზოგადოებაში წარმოდგენილ შრომაში ჯილდო;

ლ) მოაწყოს მოხსენებანი, ლექციები და სხვა:

მ) აიღოს იჯარით სასტუმროები, აგარაკები, სასტუმროები, საკურორტო კოიკები, თეატრები, სახლები, გარაჟები, ამბარები, საწყობები და სხვა;

ნ) მომქმედ კანონმდებლობის ფარგლებში შეასრულოს ყველა ოპერაციები საზოგადოებისათვის საჭირო მასალათა და ხელსაწყოთა დასამზადებლად;

ო) აწარმოოს ყველა ოპერაციები, რომელნიც გამომდინარეობენ საზოგადოების მიზნების და ამოცანებისაგან.

4. საზოგადოება არის იურიდიული პიროვნება, მოქმედობს თანასმად ამ წესდებისა და ექვემდებარება მთავრობის ყველა კანონებს და დადგენილებებს როგორც მომქმედ, ისე შემდეგში გამოცემულს.

5. საზოგადოებას აქვს ბეჭედი თავის დასახელების აღნიშვნით.

II. საზოგადოების კაპიტალი, აქციები და მოქმედების დაწყება.

6. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი უდრის 100.000 მანეთს, 1000 სახელობით აქციებზე, თითო 100 მანეთის ღირებულზე, დაყოფილი. აქციების ფასი უნდა გადახდილ იქნეს ნაღდ ფულით და აგრეთვე ისეთ საქონლით და მატერიალურ ფასეულობით, რომელიც საზოგადოებას შეუძლია გამოიყენოს თავის ორგანიზაციის, ან შემდეგში, საზოგადოების მოქმედების დროს; შესაძლოა გადახდილ იქნეს ისეთ წამოწყებებით, რომელნიც შეადგენენ საზოგადოების ამოცანებს და წარმოებებს. ყველა აქციების არა ნაკლებ 50% ფასისა უნდა შემოტანილ იქნეს ნაღდ ფულად. შემოტანილ ქონების საბოლოო შეფასება დამტკიცებულ უნდა იქნეს საზოგადოების დამფუძნებელ საერთო კრების მიერ; ეს შეფასება არ უნდა აღემატოს ადგილობრივ ფასებს.

შენიშვნა. სააქციონერო საზოგადოების წევრად შეუძლია იყვეს სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას და წარმოებას. საზოგადოების ყველა აქციების არა ნაკლებ 51% (ორმოცდა თერთმეტი პროცენტისა) სახელმწიფო წამოწყებებს უნდა ეკუთვნოდეს.

7. ამა წესდების დამტკიცების შემდეგ, არა უგვიანეს 3 თვისა, წესდების გამოქვეყნების შემდეგ, დამფუძნებელთა მიერ აქციონერებად მოწვეულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს შემოაქვთ, თითო აქციის ფასად, არა ნაკლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

$12^1/_2$% (თორმეტ ნახევარი პროცენტი) ფულად, დამფუძნებელთა სახელზე ს. ს. რ. კ. სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში, პირობით ანგარიშზე და არა ნაკლებ $12^1/_2$% პაიების ღირებულებისა ქონებით.

8. დამფუძნებელი აწარმოებს ორ წიგნს:

ა) აქციონერთა წიგნს, სადაც აღნიშნავს დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირებს, რომელნიც შემოდიან წამოწყებაში აქციონერებად აღნიშნავს მათ მისამართს და აქციათა რიცხვს, რომელიც ერგება ყოველ მონაწილეს.

ბ) სალაროს წიგნს, შემოსულ სააქციო თანხების ჩასაწერად.

9. აქციების ფასად მიღებულ თანხებზე, დამფუძნებელნი იძულევიან დროებით მოწმობას.

10. თუ 3 თვის განმავლობაში ყველა აქციები განაწილებული იქნება წამოწყებაში მონაწილეობისათვის მოწვეულ დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ და არა ნაკლებ 25% (ოცდა ხუთ პროცენტისა) ნომინალურ ღირებულებისა გადახდილი როგორც ფულად, არა ნაკლებ ნახევრისა და აგრეთვე ქონებით, მაშინ დამფუძნებელნი იწყებენ წონასწორ და დამფუძნებელ საერთო კრებათა მოწვევას, იმ წესით, როგორც ნაჩვენებია საააქციონერო საზოგადოებათა დებულებაში (კ. კ. ს. ს. რ. კ. 1927 წლ. № 49 § 500).

11. საზოგადოება არა შემდგარად ითვლება თუ 3 თვის განმავლობაში შემოტანილ არ იქნება საზოგადოების ძირითად კაპიტალში, აქციების ნომინალურ ფასის 25% (ოცდა ხუთი პროცენტი).

12. § 10 აღნიშნულ პირობათა არსებობის და საზოგადოების ჩამოყალიბებულად ცნობისას, რეგისტრაციის დღიდან საზოგადოება იწყებს თავის მოქმედებას და იწყებს აქციების განაწილებას, ძირითად კაპიტალის დაგროვებას და აწარმოებს ყველა მოქმედებას და ოპერაციებს, რომელნიც დაკავშირებული არიან საააქციონერო საზოგადოების ორგანიზაციასთან.

13. სახელობითი და დროებითი მოწმობანი, საზოგადოების მოქმედების დაწყების შემდეგ შეიძლება სხვა პირებს, ორგანიზაციებს და წარმოებებს გადაეცეს, ტრანსფერულ წარწერებით მათზე, იმ პირობით თუ გამგეობას მიეცემა განცხადება გადასვლის შესახებ, განსაკუთრებულ სააქციო წიგნში აღსანიშნავად ამის შესახებ.

14. აქციების დანარჩენ თანხების შემოტანა სწარმოებს დამფუძნებელ საერთო კრების დადგენილ ვადებში, არა უგვიანეს ერთი წლისა საზოგადოების დამტკიცების შესახებ გამოქვეყნების დღიდან.

თუ აღნიშნულ ვადებში საზოგადოების კაპიტალი მთლიანად არ იქნება დაფარული მონაწილეთა მიერ და ამასთანავე არ იქნება მიღებული მთავრობის ნებართვა კაპიტალის შემცირებაზე, ან ვადის გაგრძელებაზე, საზოგადოება ლიკვიდაცია ქმნილ იქნება.

15. თუ აქციონერი არ გადაიხდის თავის აქციის დამატებით შემოსატან თანხას აქციონერების საერთო კრების მიერ დანიშნულ რომელიმე ვადაში, ასეთ აქციონერს ეძლევა შესაძლებლობა შემოიტანოს თანხა ახალ ორკვირეულ ვადაში, ყოველ დღიურად 2% (ორ პროცენტის) საურავის დართვით, ვიდა გადასულ თანხაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორკვირეულ ვადის გადასვლის შემდეგ გამგეობა დაუფარავ დროებით მოწმობას გაუქმებულად აცხადებს და ავალებს სახ. ბანკს ან ბირჟის მაკლერს გაყიდოს ვადა გადასულ დროებით მოწმობის დუბლიკატი, იმავ ნომრით და იმ ფასში, რომელიც შესაძლო იქნება მიღებულ იქნეს. გაყიდვის ხარჯები უნდა დაეკისროს დამნაშავე აქციონერს.

გაყიდვისაგან მიღებულ თანხიდან დაფარულ უნდა იქნეს ვადაგადასული თანხა დღეში 2% საურავით. დანარჩენი ფული კი ხარჯების გამოკლებით, უბრუნდება პირველ პატრონს, რომლის დროებითი მოწმობა კი, მის მიერ წარმოდგენის შემდეგ, გაუქმებულად ცხადდება.

16. ყველა აქციები სახელობითია და გაიცემა რიგის ნომრით და აქციის პატრონის აღნიშვნით. ფას გადახდილი აქციები გადადიან ხელიდან ხელში, იმ პირობით თუ დაცულია წესდების § 12 აღნიშნული წესი. ყოველ აქციას უნდა დაერთოს 10 კუპონიანი ფურცელი, ყოველ საოპერაციო წელს მის დავიდენდის მისაღებად. 10 წლის შემდეგ გაცემულ უნდა იქნეს კუპონიანი ახალი ფურცლები, ახალ ვადებით. მიმდინარე საოპერაციო წლის კუპონები შეიძლება განსხვისოს ყოველგვარ ფორმალობის გარეშე. შემდეგი ვადების კუპონი არ უნდა განცალკევდეს აქციისაგან.

III. საზოგადოების გამგეობა მისი უფლება-მოვალეობანი.

17. საზოგადოების გამგეობა იმყოფება ქ. ტფილისში და ირჩევა 5 კაცის რაოდენობით, 1 წლის ვადით აქციონერთა საერთო კრების მიერ. ვადამდე წასულ გამგეობის წევრთა, ან ისეთ წევრთ მაგიერ, რომელნიც ვეღარ ასრულებენ თავის მოვალეობას აქციონერთა კრების მიერ უნდა არჩეულ იქნენ 2 კანდიდატი ერთი წლის ვადითვე. კანდიდატები იწყებენ თავის მოვალეობის შესრულებას მიღებულ ხმათა უფროსობით და გამგეობის წევრთა მაგიერობის გაწევის დროს აქვთ უკანასკნელთა ყველა უფლებანი.

18. დამფუძნებელთა მიერ მოწვეულ პირველ კრების შემდეგ და აგრეთვე ყოველწლიურად საერთო წლიურ კრების შემდეგ, გამგეობის წევრნი, თავიანთ წრიდან ირჩევენ თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

19. გამგეობის წევრნი გამგეობაში მუშაობისათვის იღებენ პროცენტულ გასამრჯელოს, იმ რაოდენობით, რომელიც აქციონერთა საერთო კრების მიერ არის დაწესებული.

20. გამგეობა გამგებლობს საზოგადოების ყველა საქმეებს და თანხებს. მის მოვალეობას შეადგენს:

ა) შემოსულ აქციებით შემომავალ თანხების მიღება და აქციების გაცემა;

ბ) ბუჰღალტერიის, სალაროსი და საქმის წარმოების მოწყობა. ანგარიშის ბალანსის; ხარჯთაღრიცხვის და მოქმედებათა გეგმის დამზადება;

გ) საზოგადოებაში სამსახურისათვის საჭირო პირების მიღება, მათი მუშაობის სფეროთა, განსაზღვრა, ჯამაგირის დანიშვნა და აგრეთვე მათი დათხოვნა;

დ) ქონების ყიდვა და გაყიდვა, როგორც ნაღდ ფულზე, ისე ნისიათ, შენობათა და ბინების დაქირავება და სხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) დაზღვევა და თამასუქების მიღება გასანაღდებლად და სხვა ვალდებულებათა შესრულება იმ ფარგლებში, რომელიც აქციონერთა საერთო კრების მიერ იქნება დადგენილი;

ვ) თამასუქების დისკონტი;

ზ) საზოგადოების სახელით ხელშეკრულებათა და პირობების დადება, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებთან, ისე კერძო საზოგადოებებთან ამხანაგობებთან და აგრეთვე კერძო პირებთან.

თ) მინდობილობათა გაცემა იმ პირებისადმი, რომელნიც მიღებულნი არიან სამსახურში გამგეობის მიერ და აგრეთვე იმ პირებისადმი, რომელნიც აქციონერთა საერთო კრების მიერ არჩეულნი არიან რაიმე თანამდებობაზე;

ი) ყველა კანონიერ აქტების შესრულება, რისიმე შესაძენად, იჯარაზედ, შენობათა დაგირავებაზე, აშენებაზე და სხვა;

კ) საზოგადოების განყოფილებათა კანტორების, ბაზების, სააგენტოების და პუნქტების გახსნა;

ლ) აქციონერთა საერთო კრების მოწვევა;

21. საზოგადოების საქმეთა უშუალო გამგებლობისათვის გამგეობა იწვევს დირექტორს-განმკარგულებელს.

22. გასავალს გამგეობა აწარმოებს იმ ხარჯთაღრიცხვით, რომელიც ყოველ წლიურად მტკიცდება საერთო კრების მიერ.

23. საზოგადოების საჭირო საქმეებში გამგეობას უფლება ეძლევა იშუამდგომლოს დაწესებულებაში, სასამართლოს ორგანოებში და თანამდებობის პირებთან უმინდობილობით. გამგეობას აქვს აგრეთვე უფლება გადასცეს რწმუნება ამ საქმეებზე დირექტორ-განმკარგულებელს, ან სხვა პირს.

24. გამგეობა იკრიბება, გამგეობის თავმჯდომარის მოწვევით საჭიროებისამებრ, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ვიდრე თვეში ერთხელ. გამგეობის გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა გამგეობის არა ნაკლებ სამი პირის დასწრება. გამგეობის სხდომების შესახებ იწერება ოქმები, რომელსაც ხელს აწერენ გამგეობის ყველა დამსწრე წევრები.

25. გამგეობის წევრნი თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ თანახმად საერთო კანონებისა და ამ წესდების დებულებათა მიხედვით. თუ ისინი გასცემენ კანონის საწინააღმდეგო განკარგულებას, გადაიკარებენ უფლების საზღვარს, გამოიჩენენ უმოქმედობას და დაარღვევენ როგორც ამ წესდებას, ისე აქციონერთა საერთო კრების დადგენილებებს, ისინი მიეცემიან პასუხისგებაში კანონთა საერთო დებულების მიხედვით. აქციონერების მიერ არჩეულ გამგეობის წევრნი შეიძლება აქციონერთა საერთო კრების მიერ მათი სამსახურის ვადის გათავებამდეც გადაყენებულ იქნენ.

IV. აქციონერთა საერთო კრება.

26. აქციონერთა საერთო კრება არის ხოლმე ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივი კრება უნდა მოწვეულ იქნეს გამგეობის მიერ ყოველწლიურად არა უგვიანეს 3 თვისა, საზოგადოების საოპერაციო წლის დამთავრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემდეგ; წარსულ წლის ანგარიშის და ბალანსის განსახილველად და დასამტკიცებლად და აგრეთვე მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვის და მოქმედების გეგმის განსახილველად, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად. ამავე კრებაზე განიხილება ყველა ის საკითხები, რომელნიც სჭარბობენ გამგეობის უფლებას, ან ის საკითხები რომელნიც წარმოდგენილი იქნებიან საერთო კრებაზე გამგეობის, ან სარევიზიო კომისიის მიერ. საგანგებო კრებას გამგეობა იწვევს, ან თავისი დადგენილებით, ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით და აგრეთვე, თუ ამას მოითხოვენ აქციონერები, რომელნიც წარმოადგენენ არა ნაკლებ $^1/_{20}$ ძირითად კაპიტალისა.

საერთო კრების მოწვევის მოთხოვნილების წარდგენისას, უნდა სწორად აღნიშნული იქნეს საერთო კრების მიერ განსახილველი საგანი. საერთო კრების მოთხოვნა გამგეობამ უნდა შეასრულოს მოთხოვნის დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

27. თანახმად ამ წესდებისა საერთო კრება სწყვეტს ყველა საკითხებს, რაც კი ეხება საზოგადოებას; საერთო კრების აუცილებელ გამგებლობაში უნდა შედიოდეს:

ა) გამგეობის წევრთა, სარევიზიო კომისიის და სალიკვიდაციო კომისიის არჩევა და გადაყენება.

ბ) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის დამტკიცება და შეცვლა;

გ) მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვის და მოქმედების გეგმის და წარსულ წლის ანგარიშის და ბალანსის განხილვა და დამტკიცება;

დ) წარსული წლის მოგების განაწილება;

ე) ძირითად კაპიტალის რაოდენობის გამოცვლა, სათადარიგო კაპიტალის დახარჯვა, წესდების შეცვლა და საზოგადოების მოქმედებათა ლიკვიდაცია.

28. აქციათა პატრონები მოწვეულ უნდა იქნენ კრებაზე ორი კვირით ადრე გაზ. „კომუნისტის“ განცხადებით. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქნეს კრების დღე, საათი, ბინა და აგრეთვე განსახილველი საკითხები.

29. აქციონერებს უნდა მიეცეს საშუალება გაეცნონ გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებებს, რომელნიც დანიშნული არიან საერთო კრებაზე განსახილველად, საერთო კრებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

30. ყველა ის საქმეები, რომელნიც უნდა განხილულ იქნენ საერთო კრებაზე აუცილებლივ გამგეობის საშუალებით უნდა იქნეს წარმოდგენილი; ამიტომაც ის აქციონერები, რომელთაც სურთ რაიმე წინადადება შეიტანონ საერთო კრებაზე, ვალდებულნი არიან ორი კვირით ადრე წერილობით მიმართონ გამგეობას.

31. ყოველ აქციონერს თავის რწმუნებულთა სახით უფლება აქვს დაესწროს საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღოს წამოყენებულ საკითხთა შესახებ მსჯელობაში.

32. კრების კანონიერებისათვის საჭიროა, რომ დაესწრონ არა ნაკლებ საწესდებო კაპიტალის ერთ მესამედის მქონე აქციონერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. საერთო კრების დადგენილება კანონიერია, თუ მიღებულ იქნება სხდომაზე მყოფ აქციონერთა ხმების მარტივ უმრავლესობით.

34. ყველა იმ კითხვების შესახებ, რომელნიც ექვემდებარებიან საერთო კრების განხილვას და მიღებას უნდა სწარმოებდეს ვრცელი ოქმი,

V. სარევიზიო კომისია

35. საერთო კრება არჩევს სარევიზიო კომისიას, აქციონერთა რწმუნებულთაგან არა ნაკლებ 3 კაცის შემადგენლობით. არჩეულ უნდა იქნენ ისეთი პირები, რომელნიც არ შედიან გამგეობაში და არ უკავიაო სხვა რაიმე თანამდებობანი, ან საერთო კრების არჩევით, ან გამგეობის დანიშვნით.

VI. საზოგადოების ანგარიშების წარმოება

36. საზოგადოების საოპერაციო წელი ითვლება ყოველ წლის 1 იანვრიდან 30 დეკემბრამდე, გარდა პირველ წლისა, რომელიც ითვლება საზოგადოების მოქმედებათა დაწყების შემდეგ 1929 წლ. 31 დეკემბრამდე.

37. გამგეობა ადგენს ყოველ წარსული წლის საზოგადოების ოპერაციების ანგარიშს და ბალანსს ჩვეულებრივ საერთო კრებისათვის წარსადგენად, განსახილველად და დასამტკიცებლად; შედგენისთანავე არდგენს მათ სარევიზიო კომისიაში რევიზიის დასკვნების შესადგენად.

ანგარიშის და ბალანსის რევიზიის და მათზე თავის დასკვნის შედგენის შემდეგ, სარევიზიო კომისია მომავალ კრებამდე 10 დღით ადრე ურდგენს ამ დოკუმენტებს გამგეობას. ამ დროის განმავლობაში, ანგარიში, ბალანსი და სარევიზიო კომისიის დასკვნები მათ შორის და აგრეთვე ყველა გასამართლებელი საბუთები და წიგნები, რამდენადაც ისინი ეხებიან აღნიშნულ ანგარიშს და ბალანს, შეუძლიანთ გადასინჯონ ყველა აქციონერებმა.

38. ანგარიშში უნდა შედიოდეს ვრცელი მასალა შემდეგ მთავარ პარაგრაფებიდან:

ა) ძირითად კაპიტალის მდგომარეობა, პასივში ცალკე ნაჩვენები უნდა იყვეს ნაღდი ფულით შეტანილი თანხა და საზოგადოებისათვის ქონებით გადაცემული კაპიტალი. ამას გარდა აღნიშნულ უნდა იქნეს სათადარიგო, საამორტიზაციო კაპიტალები და სხვა.

ბ) საერთო შემოსავალი და გასავალი იმ დროის, რომლის ანგარიშიც იქნება წარმოდგენილი:

გ) საზოგადოების თანამშრომელთა ჯამაგირების და მართველობის სხვა ხარჯების ანგარიში;

დ) საზოგადოების სახეზე მყოფ ქონების და მის კუთვნილ თადარიგების ანგარიში;

ე) საზოგადოების მოვალეთა ანგარიში და თვით საზოგადოების ვალები სხვა პირებზე;

ვ) შემოსავლის და ზარალის ანგარიში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) წმინდა შემოსავლის ანგარიში და მისი სანიმუშო განაწილება;

39. საერთო კრების მიერ ანგარიშის დამტკიცებისას იმ თანხიდან, რომელიც დარჩება ყველა ხარჯების და ზარალის დაფარვის შემდეგ, საერთო კრება, გადარიცხავს 10% სათადარიგო კაპიტალში და 20% ქონების საამორტიზაციოდ. დანარჩენი თანხა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთათვის და აგრეთვე საზოგადოების თანამშრომელთათვის, თუ დანიშნული ექნებათ საერთო კრების მიერ, დამატებით გასამრჯელოს მიცემის შემდეგ, გადადის დივიდენდში აქციონერებისათვის მისაცემად.

40. გამგეობა აცხადებს „კომუნისტის“ საშუალებით ანგარიშის და ბალანსის დამტკიცებაზე და დივიდენდის გაცემის შესახებ.

41. სათადარიგო კაპიტალის დანიშნულებას შეადგენს გაუთვალისწინებელ ხარჯების და ზარალის დაფარვა, სანამ კი ბრუნვაში რჩება, თუ აქციონერთა საერთო კრება არ მისცემს მას სხვა რაიმე დანიშნულებას. სათადარიგო კაპიტალის დახარჯვა დასაშვებია მხოლოდ საერთო კრების განსაკუთრებულ ნებართვით.

VII. საზოგადოების მოქმედებათა შეწყვეტა

42. საზოგადოების მოქმედებას ვადა არ ედება. საზოგადოების მოქმედება სწყდება და იწყება მისი ლიკვიდაცია იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშით და ბალანსით გამოირკვევა ძირითად კაპიტალის 2/5-ის დაკარგვა.

43. იმ შემთხვევაში თუ შესწყდება საზოგადოების მოქმედება, აქციონერთა საერთო კრება ირჩევს თავის წრიდან არა ნაკლებ 3 პირისა ლიკვიდაციო კომისიაში, ამტკიცებს მის ყოფნის ადგილს და არკვევს საქმეთა ლიკვიდაციის წესს. ლიკვიდაციო კომისია მას შემდეგ, რაც ჩაიბარებს საქმეებს გამგეობისაგან, იწვევს საზოგადოების კრედიტორებს და იღებს ყოველივე ღონისძიებას მათ დაკმაყოფილებისათვის; ანაღდებს საზოგადოების ქონებას. მთავრობას ეძლევა უპირატესობა ამ ქონების შეძენისა, ლიკვიდაციო ბალანსის თანახმად.

ის თანხები, რომელნიც საჭიროა კრედიტორების სრულად დაკმაყოფილებისათვის და აგრეთვე ის თანხები, რომელნიც საჭიროა სადაო მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებისათვის, სარევიზიო კომისიას შეაქვს კრედიტორების ანგარიშზე სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში; მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაიწყოს აქციონერების დაკმაყოფილება, საზოგადოების განკარგულებაში მყოფ თანხების მიხედვით.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრ. მე-3 სტამბა. შეკვ. № 1447. მთავლ. № 617. ტირ.—250.